ხელშეკრულება № 01-4-11ბ-906

1/2671

ქ. თბილისი „31" მაისი 2012 წ.

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში ,,დამკვეთად" წოდებული), მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძის სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში ,,დაცვად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ბესიკ ბაჩიაშვილის სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,დაცვა" იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ,,დამკვეთის" არაგაბარიტული ავტომანქანის დაცვა-გაცილება შემდეგი მიმართულებებით;
1) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. კოდას მიმართულებით ან პირიქით;
2) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;
3) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - თბილისის მიმართულებით ან პირიქით;
4) თბილისიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;
5) თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. კოდიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,დამკვეთი" იღებს ვალდებულებას ,,დაცვას" გადაუხადოს გაწეული დაცვის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;
1.3. ფაქტიურად შესრულებულ მომსახურებაზე დამკვეთსა და დაცვას შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი არაუგვიანეს გაწეული მომსახურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. დამკვეთი ვალდებულია:

2.1.1. აცნობოს ,,დაცვას" დაცვა-გაცილების შესახებ ერთი დღით ადრე;
2.1.2. გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად;
2.1.3. არაგაბარიტული ტვირთის ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ავტო-სატრანსპორტო საშუალებებით და საკუთარი ხარჯით, დალუქულ მდგომარეობაში.
2.1.4. არაგაბარიტული ავტომანქანის დაცვა-გაცილების (ტრანსპორტირების) დაწყებამდე მოაწეროს ხელი ,,ადგილზე გამოცხადების და დათვალიერების " აქტს.

2.2. დაცვა ვალდებულია:

2.2.1. დაცვა-გაცილებისთვის გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სპეციალური სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ,,დაცვის" ავტომანქანა;
2.2.2. არაგაბარიტული ტვირთის დაცვა-გაცილება განახორციელოს შ.ს.ს. ს.ს.ი.პ.- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით.
2.2.3. დაცვა უფლებამოსილია არ განახორციელოს არაგაბარიტული ავტოტრანსპორტის დაცვა-გაცილება თუ ,,ადგილზე გამოცხადების და დათვალიერების" აქტს დამკვეთის მხრიდან ხელი არ მოეწერა.

მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი (სავარაუდო) ღირებულება შეადგენს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით. (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება");
3.2. არაგაბარიტული ერთი ავტომანქანის დაცვა-გაცილების მომსახურების ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს:

1) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. კოდას მიმართულებით ან პირიქით;

№	გადასაზიდი ტვირთის ზომები	თანხა ერთ ავტომანქანაზე
1.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრამდე	700 ლარი
2.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრიდან - 5 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრიდან - 40 მეტრამდე	1200 ლარი
3.	სიმაღლე - 4.30 მეტრიდან - 5 მეტრამდე	1400 ლარი
4.	სიგანე - 5 მეტრიდან - 6 მეტრამდე სიგრძე - 40 მეტრიდან - 50 მეტრამდე	1850 ლარი

2) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;

№	გადასაზიდი ტვირთის ზომები	თანხა ერთ ავტომანქანაზე
1.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრამდე	1500 ლარი
2.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრიდან - 5 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრიდან - 40 მეტრამდე	2500 ლარი
3.	სიმაღლე - 4.30 მეტრიდან - 5 მეტრამდე	3000 ლარი
4.	სიგანე - 5 მეტრიდან - 6 მეტრამდე სიგრძე - 40 მეტრიდან - 50 მეტრამდე	5000 ლარი

3) მარნეულის რ-ნი სოფ.ქაფანახჩიდან - თბილისის მიმართულებით ან პირიქით;

№	გადასაზიდი ტვირთის ზომები	თანხა ერთ ავტომანქანაზე
1.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრამდე	500 ლარი
2.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრიდან - 5 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრიდან - 40 მეტრამდე	800 ლარი
3.	სიმაღლე - 4.30 მეტრიდან - 5 მეტრამდე	1000 ლარი
4.	სიგანე - 5 მეტრიდან - 6 მეტრამდე სიგრძე - 40 მეტრიდან - 50 მეტრამდე	1600 ლარი

4) თბილისიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;

№	გადასაზიდი ტვირთის ზომები	თანხა ერთ ავტომანქანაზე
1.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრამდე	1200 ლარი
2.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრიდან - 5 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრიდან - 40 მეტრამდე	2000 ლარი
3.	სიმაღლე - 4.30 მეტრიდან - 5 მეტრამდე	2400 ლარი
4.	სიგანე - 5 მეტრიდან - 6 მეტრამდე სიგრძე - 40 მეტრიდან - 50 მეტრამდე	4000 ლარი

5) თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. კოდიდან - ბორჯომის რ-ნი სოფ. დიდი მიტარბის მიმართულებით ან პირიქით;

№	გადასაზიდი ტვირთის ზომები	თანხა ერთ ავტომანქანაზე
1.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრამდე	1300 ლარი
2.	სიმაღლე - 4.30 მეტრამდე სიგანე - 4 მეტრიდან - 5 მეტრამდე სიგრძე - 30 მეტრიდან - 40 მეტრამდე	2400 ლარი
3.	სიმაღლე - 4.30 მეტრიდან - 5 მეტრამდე	2600 ლარი
4.	სიგანე - 5 მეტრიდან - 6 მეტრამდე სიგრძე - 40 მეტრიდან - 50 მეტრამდე	4600 ლარი

3.3. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ხორციელდება ,,დამკვეთის" რამოდენიმე ავტომანქანის დაცვა-გაცილება, ,,დამკვეთი" აანაზღაურებს ავტომანქანების დაცვა-გაცილების მომსახურების ღირებულებას შემდეგნაირად:

- ორი და ნაკლები (ერთ კოლონაში) ავტომანქანის დაცვა-გაცილების შემთხვევაში თითოეულ ავტომანქანაზე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას;
- სამი და მეტი (ერთ კოლონაში) ავტომანქანის დაცვა-გაცილების შემთხვევაში ორ ავტომანქანაზე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას, ხოლო ყოველ დანარჩენ ავტომანქანაზე ღირებულების ნახევარს;

3.4. გამოძახების საფუძველზე ,,დაცვის" ეკიპაჟის ადგილზე გამოცხადების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაგაბარიტული ავტომანქანის დაცვა-გაცილების განხორციელების ,,დამკვეთი"-ს მიზეზით ორ საათზე მეტით გადადების შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს 3.2. 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული დაცვა-გაცილების მომსახურების ღირებულების ნახევარი.

3.5. არაგაბარიტული ავტომანქანის დაცვა-გაცილების ,,დამკვეთი"-ს მიზეზით (გარდა ფორსმაჟორისა) ორ საათზე მეტით შეწყვეტის შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 3.2. და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული დაცვა-გაცილების მომსახურების სრული ღირებულება. იგივე ტვირთის და იგივე ავტომანქანის (მანქანების) დაცვა-გაცილების განახლების შემთხვევაში ,,დამკვეთი" ვალდებულია დამატებით გადაიხადოს თითოეულ ავტომანქანაზე 400 (ოთხასი) ლარი.

3.6. ,,დამკვეთი" ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებას ,,დაცვას" გადაუხდის საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ,,დაცვა" კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის;

4.2. ,,დამკვეთი" კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე;

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

7.2. დამკვეთის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაცვა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

7.3. სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

7.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ,,დამკვეთთან", ხოლო ორი ,,დაცვასთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი"

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 995 176

ს.ს. ,,საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE56BG0000000283534100

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე: ს. ზუმბურიძე

,,დაცვა"

საქ. შსს საჯარო სამართლის იურიდიული

პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის

ხეივანი მე-11 კილომეტრი.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 211350928

ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE68LB0121158008584015

დაცვის ორგანიზაციის მთავარი

სამმართველოს უფროსი: ბ. ბაჩიაშვილი